№ 250 ნოემბერი 19, პარასკევი 1893 ნოემბერი 19, პარასკევი № 250



| გაზეთი ღირს | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური



# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკია ში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვ ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპიკი.

1877—1893

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1893

## „ივერია“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1893 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებნი უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРIА“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

### ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისაგან.

გამგეობა ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ 22 დეკემბერს ამა წლისა, ბანკის სადგურში, ფრეილინის ქუჩაზე, ბაკისავე არწრუნისეულ სახლებში, დანიშნულია ვაჭრობა გორის მოქალაქეთ ქაიხოსრო გიორგის ძის და გეურქ და ბაგრატ ბახჩიევების სახლის გასასყიდათ, რომელიც დარჩა ბანკს 31 დეკემბერ 1892 წლის მომხდარ საზოგადო ვაჭრობის დროს, და რომელიც მდებიარებს ქ. გორში, ციხის უბანში, და შეიცავს ორ სართულიან ქვითკირის სახლს სარდაფით და მიწას ზომით $240^1/_2$ ოთხკუთხ საჟენს, ანუ რავდენიც აღმოჩნდება, სამზღვართა შორის, დაწვრილებით მოხსენებით ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის საგირავნო მოწმობაში, 4 სეკდემბრიდგან 1890 წელს № 1293-ში.

ვაჭრობა ჩაითვლება გათავებულად, მხოლოდ მაშინ, როცა იგი დამტკიცდება ბანკის გამგეობისაგან.

### ტფილისი, 19 ნოემბერს

—

რამდენისამე დღის წინად, სანამ საფრანგეთის სამინისტრო იძულებული შეიქნებოდა სამსახურისთვის თავი დაენებებინა, დეპუტატი ლოკრუა შემდეგის სიტყვებით მიიქცა მთავარ-მინისტრისადმი: „გვიბრძანეთ ერთი—არის რუსეთთან შეკრული რამე კავშირი, თუ არა? კმარა ამდენი მალულობის თამაში და ასეთი გამოურკვეველი მდგომარეობა. დაიმედებული და ოცნებით გატაცებული ერი—შესაძლოა, მწარედ მოსტყუვდეს და განსაცდელის დროს საფრანგეთი ისევ მარტოდ დარჩესო“.

ცნობის მოყვარე დეპუტატს უპასუხეს მართებლობის აზრის და ლაპარაკი, რასაც არ ავნებს ჩვენს საქმეს, დახმარებით ხომ არას დაეხმარებაო“. ამითი დაბოლოვდა ედუარდ ლოკრუასგან სასაუბროდ ჩამოგდებული საკითხი.

რასაკვირველია, სამშობლოს მოყვარულს, ერის სურვილისა და ინტერესების გამომხატველს დეპუტატს არ დაეზრახება, რომ მოინდომა დაბეჯითებით შეიტყოს ყოველი ვითარება, როგორც აწმყო, აგრეთვე მომავალი თავის ძვირფასის ქვეყნისა. მაგრამ ბ-ნ ლოკრუას დაჰვიწყებია, რომ რუსეთს არა აქვს წესად ამ გვარი საქმეები საბჭოთა საყაყანოდ გაჰხადოს.

მაგრამ, როგორც პეტერბურგის ჟურნალი „ევროპის ვესტნიკი“ ამბობს, რუსის ჟურნალისტთა ყოფა-ქცევა პარიზში, იმათი რიხიანი პოლიტიკური სიტყვები, წარმოთქმული კრებებზე, იმათი აღტაცებული საქციელი შესახებ საფრანგეთის გამოჩენილ რესპუბლიკელთა და თვით რესპუბლიკისადმი, მართლა რომ დააიმედებდა მგრძნობიარე ფრანგებს და აფიქრებინებდა, ყოველ საქმეზედ, რომელიც ჩვენ ახალ მეგობრებთან გვექმნება, შესაძლებელია, ხმამაღლა და დაურიდებლად ვილაპარაკოთო.

პეტერბურგის ჟურნალიეუბნება თავის თანამოკალმეებს: არა, ამ პარიზში რომ ამოიდგით ენა და პოლიტიკური მასლაათი და ჭიქაქუხილი გაჰმართეთ, ფრანგებს ხომ მართლა ეგონებოდათ, რომ თქვენს საკუთარს ოჯახშიც ასეთი თავისუფალი მოსაუბრე ბრძანდებით. ფრანგ-რუსთა კავშირი საკუთრად უმაღლეს მთავრობის ნება არის, როგორც იმისვე ნება იყო, რომ ამ რამდენისამე წლის წინად არსებობდა რუსთ-გერმანთა კავშირი. თუკი მაშინ იმ კავშირის დაგმობა არ შეეძლოთ [illegible] ზე მოჰხვევიხართ და ევროპის რუკის გარდაჰქმნას ჰქადაგებთ?!. ასეთი თქვენი საქციელი ეჭვს გაუღვიძებს გარეშეს თქვენს გულწრფელობაზე და ეს მწერალს არ შვენისო“.

ეს საუბარი და კამათობა რუსეთის ლიტერატორთა შინაგანი საქმეა, მაგრამ ამ ფრანგ-რუსთა კავშირში საყურადღებო ის არის, რომ საფრანგეთის რესპუბლიკამ შესძლო დაჰმეგობრებოდა რუსეთის დიდს იმპერიას.

ფრანგთათვის ასეთი კავშირი, რასაკვირველია, ძვირფასია, რადგანაც ისინი დღეს აღარ ჰგრძნობენ თავის თავს განცალკევებულად და უნდა ვიფიქროთ, რომ არც რუსეთისათვის უნდა იყოს საზარალო ისეთის მოკავშირის ყოლა, რომელსაც მილიონი ჩინებული ჯარი ჰყავს, ძლიერი ფლოტი და დიდი სიმდიდრე აქვს.

მაგრამ ეს ანგარიში მხოლოდ ომის დროს არის სახეში მისაღები, რადგანაც მშვიდობიანობაში არც ჯარი, არც ფლოტი და არც სიმდიდრე ფრანგებისა რუსეთს არას დაეხმარება.

მაგრამ სულ სხვა საქმეა ფრანგების მდგომარეობა: ისინი მშვიდობიან დროსაც მშვენივრად გამოიყენებენ ფრანგ-რუსთა კავშირს.

ჯერ კიდევ ადმირალი აველანი საფრანგეთში იყო და პარიზის გავლენიანი გაზეთი სწერდა: „საჭიროა არის რესპუბლიკის მართებლობამ იშუამდგომლოს, რომ რუსეთში ჩვენს საქონელს ბაჟი შეუმცირდეს და ვრცელი ბაზარი გაეხსნას. რუსეთი თითქოს მარტო ნიმუშს ჰყიდულობდეს ჩვენის საქონლისას, იმ ზომამდე მცირე და უმნიშვნელოა ის ფული, რომელსაც ჩვენ იმისაგან ვიღებთო. პატარაა საბერძნეთი, ჩილი, რუმი- [illegible] კარგია პოლიტიკური კავშირი, მაგრამ არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის საალებ-მიცემო დამოკიდებულებასაო და უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი ნაწარმოები რუსეთმა გაგვისაღოსო.

საგულისხმო იყო, რომ საფრანგეთი უომრადაც მოინდომებდა რუსეთის მეგობრობა გამოეყენებინა და ფრანკებზე დაეხურდავებინა, მაგრამ ჩვენ სრულიად არ გვესმის, როგორ აძლევს ნებას თავის თავს დარბაისელი სამინისტროს ორგანო, როგორიც არის Temps, როდესაც ჯერ კიდევ ჰაერში რუსეთის ჰიმნის ხმა იდგა, როდესაც რუსეთის ესკადრის პატივსაცემლად გამართული შუშხუნების სუნი კიდევ ცხადათ ისმოდა, იმ დროს ლიონის აბრეშუმეულობაზე და პარიზის საწვრილმანოზე ლაპარაკი რა დროსი იყო?!.

მაგრამ ყოველი ესე XIX საუკუნის დასასრულის ბრალი უნდა იყოს, რომელიც ყველა წმინდა და მაღალ გრძნობას ვერცხლით ჰზომავს.

მეველე

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში მთავარ-მართებლის საბჭო განიხილავს ტფილისის გუბერნატორის მოხსენებას შესახებ სასოფლო სამეურნეო თანხის დაარსებისა.

საბჭოში განხილვის შემდეგ შემუშავებული წესდება წარედგინება საშინაო საქმეთა მინისტრს უმაღლესად დასამტკიცებლად.

*** ტფილისის საგლეხო საკრებულო შეუდგა ფრიად სახხი თავიახთ თავს უყოდეიეს სიზნებად და ითხოვენ, რომ მიენიჭოთ ხიზანთა უფლება. მთხოვნელი 203 კომლია. საკრებულო საქმის განხილვას დიდხანს მოუნდა, თორმეტ საათიდამ საღამოს ცხრა საათამდის, მაგრამ მაინც ვერ გაათავა და განჩინების გამოცხადება გადასდო შემდეგისთვის.

დაწვრილებით ამ საყურადღებო საქმის გარემოებას შემდეგ ვუამბობთ მკითხველს. ეს საქმე საყურადღებო მითია, რომ ორასმა კომლმა კაცმა, რომელნიც აქამდისინ ხიზნებათ არ ითვლებოდენ, დღეს დაირქვეს ხიზნობა, ხიზანთა ახალის კანონისამებრ.

## ფელეტონი

### ქუთაისის საქმე

კიდევ უსიამოვნო ამბავი ქუთაისში იქაურ საადგილ-მამულო ბანკის გამო! გაზ. „Нов. Об.“-ეში ბ-ნი გ. მ. დაწვრილებით მოგვითხრობს ამ ამბავს. მოგეხსენებათ, რომ წელს, მაისში ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა კრებაზედ უწესოება მოხდა. ამის გამო კრება გადაიდო და ასარჩევნი არ იქმნენ ამორჩეულნი. ცხადია, რომ შეწყვეტილი კრება უნდა კვლავ მოწოდებულიყო დაშთენილ განსახილველ საქმეების დასამთავრებლად. მაშასადამე, ეს ახლად მოსაწოდებელი კრება უნდა ყოფილიყო განგრძობა მაისის ჩვეულებრივის კრებისა, ნაწილი მისი და დამატება დაუმთავრებელისა; ხოლო თუ მაისის კრება იყო ჩვეულებრივი, მისი განგრძობა, მისი ნაწილიც მაისის კრებაზედ განუხილველად დარჩენილ საქმეთა დასამთავრებლად, ჩვეულებრივია და არა საგანგებო არა ჩვეულებრივი.

ცხადია ისიც, რომ თუ მაისის კრებას დარჩა განუხილველი რამ საგანი, მაშასადამე ის კრება სრული არა ყოფილა, დამთავრებული და უნდა დამთავრებულ იქმნას წელსვე. ყოველ ბანკის წესდება მოითხოვს, რომ მის მოხელეთა არჩევანები ყოველ წლივ უნდა მოხდეს ხოლმე. შეუძლებელია ეს არჩევანები მეორე წლისთვის გადაიდოს. თუ კრებამ მაისში ვერ დაამთავრა არჩევანები, მეორ-მესამე თთვეში უნდა დაამთავროს, უსათუოდ იმ წელსვე, რადგან უამისოდ დაირღვევა წესდება და საიმპერიო კანონმდებლობა.

ხომ ცხადია ყოველივე ესე, მაგრამ არიან ისეთი ვაჟბატონები, რომელნიც არც სიმართლეს დაეძებენ, არც კანონს და თავიანთ კერძო ინტერესებსა და კეიფს მისდევენ ყველაფერში.

ქუთაისის ზედამხედველმა კომიტეტმა მოიქეიფა გადაედო როგორმე კრება საგაისოდ, თითქმის იმ დროსთვის, როცა ყოველ წლიური ჩვეულებრივი კრება იმართება ხოლმე. ამის გამო 50-მა ბანკის წევრმა წარუდგინეს ქაღალდი კომიტეტს და სთხოვეს, ნოემბრის დამლევისათვის დაჰნიშნეთ არჩევანები, რომელიც მაისში არ მოხდაო. არავისთვის დაფარული არ არის, რომ კომიტეტის წევრნი ბ-ნ კ. ჩიკვაიძის ყურ-მოჭრილნი ყმანი არიან. ეს ქაღალდი იმათ არ იამათ და მოიპრიანეს კრების გადადება მარტისათვის. მოილაპარაკეს 1 ნოემბერს და, თუმცა გადაწყვეტილება არა დაუდგენიათ-რა, მაინც სთქვეს, რომ მერმისისთვის დავნიშნოთო.

საინტერესო ამბავია ეს ამბავიო, ამბობს ზემოხსენებულის წერილის ავტორი —და ამ ამბის გმირთა სახელები შთამომავლობას არ უნდა დავუკარგოთ. მოთავე სახელოვანის სამებისა გახლავთ ლ. ტ. ლოლუა, კაცი, რომელიც იქნება გამრჯეა და ბეჯითი ქუთაისის ქალაქის მოურავობაში, ხოლო თავის სამშობლო ქვეყნის საზოგადო საქმეებში-კი მეტისმეტი ამყოლი ყოფილა დასობისა. მეორეა მ. ი. ქიქოძე, რომელიც კარგად გეხსომებათ, როგორც მჭევრ-მეტყველი დამცველი კ. ჩიკვაიძის ინტერესებისა. მესამე გახლავთ მასწავლებელი სათავად-აზნაურო სკოლისა ბ-ნი ჯორჯიკია, რომელსაც საკუთარი პანსიონიცა აქვს ყმაწვილებისათვის და, მაშასადამე, ქვეყანას უმზადებს მომავალ მოღვაწეთ.

ასე ახასიათებს ბ-ნი გ. მ. ამ სამების გმირთ და შემდეგ განაგრძობს:

„აი ეს ვაჟბატონები ჰგონებენ, რომ ჩვენა ვართ მოწოდებულნი, როგორც ჩვენი კეიფია, ისე ვატრიალოთ საქმეები ბანკისა და ხან აქეთ გადავწიოთ სასწორი სიმართლისა, ხან იქით, იმის-და მიხედვით, თუ როგორ ჰნებავს და როგორ მოიპრიანებს ჩვენი სულის ჩამდგმელი ბ-ნი ჩიკვაიძე.

როცა ბ-ნ ჩიკვაიძეს ეგონა, რომ ბანკის ხელში ჩასაგდებად ყველას ემჯობინება კრების განგრძობა აგვისტოში იყოსო, ესე იგი, მაშინ, როცა ჩემი მოწინააღმდეგე სამეგრელოს თავად-აზნაურნი ხეთის გამიჯვნაში იქმნებიან გართულნიო, ზედამხედველმა კომიტეტმაც იმას დაუკრა კვერი. ხოლო, რაკი ახლა განსაჯა რომ, არა, სჯობიან კრება საგაისოდ გადაიდოსო, კომიტეტმაც „ბალი ალაო“, მოახსენა ბ-ნს ჩიკვაიძეს და გამოაცხადა, ნოემბერში ეცივება, კრების მოწოდება არ ივარგებს, მარტში-კი, ეთბილება და მაშინ სჯობიან მოვუწოდოთ ბანკის წევრთაო. ერთის სიტყვით, დაამჯობინეს ის დრო, როცა არჩევანები უნდა მოხდეს ქალაქისა, მარშლისა, ბანკის გამგეობის წევრისა (ი. პ. ჯაიანისა) და საკრედიტო საზოგადოების ერთ-ერთის დირექტორისა და, მაშასადამე, სახერხო დროც იქნება, რომ სხვა-და-სხვა

*** პროექტი დედათა სწავლა-განათლების შესახებ, ამ თთვეშივე წარედგინება სახელმწიფო საბჭოს.

*** დღეს, 19 ნოემბერს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში იქნება საუბარი სხვა-და-სხვა სამეურნეო საგნების შესახებ.

*** 18 დეკემბერს ტფილისის კლუბის დარბაზში დანიშნულია ჩვეულებრივი კონცერტი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. კონცერტის გამგენი ეხლავე შეუდგნენ მზადებას და იმედია, წელსაც ისე სასიამოვნოდ იქნება გამართული, როგორც ყოველ წლივ არის ხოლმე. მართლაც, რამდენჯერაც-კი დავსწრებივართ ამ კონცერტს, მუდამ სასიამოვნო და წმინდა ქართული მხიარულება და დროს გატარება გვინახავს.

*** Гражданинъის სიტყვით, ტყუილი ყოფილა ის ხმა, ვითომც იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტები ნაფიც-მსაჯულთა და ნაფიც ვექილთა კანონის შეცვლის შესახებ.

*** ბექათუბანი, 14 ნოემბერს აქ იყო სოფლის ყრილობა. კრებაზედ ბოქაულმა წერეთელმა ხალხს გამოუცხადა, რომ ბრძანება გამოვიდა, სასტიკად დაისაჯონ სამხედრო სასამართლოს განსამართლებით ისინი, ვინც ამას იქით შენიშნულ იქმნებიან ძარცვა-რბევასა და ავაზაკობაში. ამიტომ გირჩევთ ერიდოთ ავკაცობას და იცხოვროთ მშვიდობიანადაო. ამას გარდა ბოქაულმა ურჩია გლეხ-კაცობას, მაღაზია დააარსეთ ჰირნახულისა, რათა გაჭირვების დროს გამოგადგესთო. თუ ჰირნახულის მაღაზიის დაარსებას ვერ მოახერხებთ, კომლზედ ორ-ოლი აბაზი ჰგზავნეთ ხაზინაში, ფული გადასდეთ იმ სახით, რომ გაჭირვებაში გამოიყენოთო. ამას გარდა სკოლა დააარსეთ, თუ გინდათ, რომ იცოდეთ რამე და ცოდნით თქვენი მდგომარეობა განაკარგოთო. გლეხკაცობამ შეადგინა განაჩენი და გადასწყვიტა ორ-ოლის აბაზის გამოღება კომლზედ და სკოლის დაარსებაც. სკოლის მასწავლებლი-

სათვის დაჰნიშნა ჯამაგირად 420 მანეთი წელიწადში. მოსამსახურესათვის 70 მან., წიგნთ-საცავისათვის 20 მან., სანთლისა და წვრილმან ხარჯისათვას 18 მან. სულ 528 მან.

—

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ გუშინდელ ნომერში შეცდომით დაბეჭდილია 15 ნოემბრის დეპეშაში: „მიწის ძვრით ქუჩაში დაიღუპა“... უნდა იყოს: „მიწის ძვრით ქუჩანში დაიღუპა“...

## დამაკვირდი

—

ფული ძალიან ცუდი ბატონია, მაგრამ საუკეთესო მოსამსახურე-კი

ბანკი

**

მდიდრისთვის უფრო ადვილია კეთილის ქმნა, კიდრე ღარიბისათვის ცოდვისაგან გაფრთხილება.

პეტიტ-სენნი.

**

მოხუცს უფრო ადვილადა კკითხავ როდის გარდაიცვლები, კიდრე, დედაკაცს, როდის დაიბადე-მეთქი.

ლაბრუერი

## აჭარა

(შემდეგი *)

სოფლები გაბნეულია აღმოსავლეთიდამ აჭარ-წყლის და ჭოროხის მარჯვნივ და მარცხნივ კახაბრამდე. სადაც-კი პატარა სწორე ადგილიანი მთები და გორაკები და ტყეებია, იქ სოფლებია გაშენებული. ამათი სოფლებიც ისეთივე მშვენივრებია, როგორც ზეგანსა, შავშეთსა და ლივანაში. ყველას ხის ოდები უდგათ, ოდებს ქვითკირის ბუხრები აქვთ დატანებული, ყავრულით დახურულებია, კრამიტსაც ხმარობენ, კრამიტის კეთება აქ ძველადგანვე სცოდნიათ. სახლების იატაკი ფიცრისაა, შიგ სამი ან ოთხი ოთახია და წინ მშვენიერი აივანი აქვს. აქაურ სახლების ნახვა სწორედ სასიამოვნოა. ძველი მშვენიერი სახლებიც ბევრია. სახლების მკეთებლებიც არიან ამათში, თუმცა მცირეთ. აქაც ჰანები მისდევენ სახლების კეთებას. აჭარელნი ვაჭრობას არიან შეჩვეულნი. მთელს აჭარაში მხოლოდ ორი ვაჭარი ვნახე ქედაში. ბათუმშიაც არავინ არის. აჭარელნი ბათუმში ჰყიდიან სიმინდს, ხილს, თაფლს, ხანდისხან თევზს, რადგანაც აჭარის წყალში, ჭოროხში იჭერენ ხოლმე. როცა აჭარის წყალი ან ჭოროხი ძლიერ აიმღვრევა, თევზი ველარ სძლებს წყალში, ნაპირას გამოდის და იხოცება. აჭარელნი ნიჩბით ჰხვეტენ და აქა-იქ ჰყიდიან. თევზის ჭერას ესენი მაინც და მაინც არ მისდევენ, თუმცა აჭარ წყალში და სხვა ღელეებშიაც იცის. თევზის საჭერად ამათში ძველითგანვე მშვენიერი ბადეების ქსოვა დარჩენილა დღევანდლამდე. ამას გარდა თევზს კაკლის წენგოთი სწამლავენ და ხანდისხან ღამეც თევზაობენ. ერთ დიდს ნაძვის ხის მუგუზალს აანთებს აჭარელი და ცალ ხელში დაიჭერს, ცალ ხელში რკინის ჯოხს და შევა წყალში; სინათლეზე თევზები მოგროვდებიან და მეთევზეც ჰხოცავს თევზს. მაჰმადიანობამ შეამცირა ჭერა თევზისა. ერთს დროს თევზის ჭერა ცოდვათაც თურმე მიაჩნდათ, თევზს თავზე ჯვარი აქვს გამოსახულიო.

ურმები და ურმით მუშაობა აქეთ არ იციან; კამეჩს თვალითაც ვერ დაინახავთ. ამბობენ, ძველად იყო აჭარაში კამეჩიო. ახლა ნიადაგ ცხენებს ამუშავებენ. ყანის თესვა, მკა, ლეწვა და სხვანი აქ უფრო იმერულად იციან, ვიდრე ჯავახურად, ან ქართლურად. აჭარა ზეგნამდის უფრო იმერეთსა ჰგავს ყველაფრით. ზეგნის მკვიდრნი-კი ჯავახელებსა და ქართლელებსა ჰგვანან; ლაპარაკის კილოც სხვანაირი აქვთ ზეგნელებს, ვიდრე აჭარლებს. აჭარის მცხოვრებთა გვარები უფრო ძეებით თავდება და ზეგნისა-კი—შვილებით. თვით ძველთ აზნაურთა და თავადთა გვარებიც-კი ასე გაირჩევა აჭარაში: პორფირეშის ძენი ანუ დღეს ბეჟანიძენი, შარუაშიძეები, დიასამიძეები, თურმანიძეები, ბერიძეები, მიქელაძეები და სხვანი. ზეგანში: ხიმშიაშვილი, შალიკაშვილი, ავალიშვილი, ავალიანი, ბარათაშვილი, ბაგრატოვანი ჯაყელი, ორბელიანი, ერისთავი და სხვ.

ქართული ზნე-ჩვეულება აქ არ გამქრალა. ბევრი რამ დარჩენილა და შეთხზულა აქ ძველებური. მაგალითად, აჭარაში უფრო კარგად მღერიან, ვიდრე მაჰმადიან ქართველთ სხვა მხარეებში. ყველგან იციან ქართული შეწყობილი ხმები და ყველგან მღერიან ქართულად, მაგრამ უფრო უკეთესად აჭარაში მღერიან. აჭარაში ბევრნი განთქმულნიც-კი არიან სიმღერაში. ხოჯებისა და მოლების ქადაგებას სხვა ქართველ მაჰმადიანებში სიმღერა სრულიად მოუსპია და ამათში-კი მოლებს ვერაფერი გაუწყვიათ, თუმცა აქაც ძლიერ ცდილან. ბეთლემის შეუვალ ტყეებისაკენ, ს. აგორასა და სალორეთს ზემოდ, ფერდოებზე, საცა ძლიერ ბევრია სიმინდის ყანები და საცა მრავლად იცის ღორი, დათვი, გარეული თხა, ირემი და სხვა ნადირი ღამ-ღამე დარაჯობენ სიმინდებს, აქა-იქ ნალიების ქვეშ ცეცხლი უნთიათ, თოფს ისვრიან და ქართულს სიმღერას ამბობენ. თათრული ენა აქ მაინც და მაინც ისე არ არის გავრცელებული, როგორც შავშეთისკენ, ართვინისკენ და ქვაბლიან ფოცხოს მიდამოში. ამბობენ, ვითომც ქვაბლიანის მაჰმადიანები ქართველები არ არიანო. აგრედვე შავშეთის ერთი ნაწილის მკვიდრნი. ოსმალოს ძველად აქაური ქართველები რაღაც საქმეების გამო ოსმალეთში გადუსახლებია და მათ ალაგას ეს თათრები დაუსახლებიათ. ამათ დღევანდლამდისაც-კი შერჩენიათ თავიანთი ენა; ბევრ მათგანს ქართული ლაპარაკი უსწავლია, ქალები ქართველ-მაჰმადიანებს შეართეს და შვილებმა ქართულად დაიწყეს ლაპარაკიო. ძველად თათრების მთავრობამ და სასულიერო წოდებამ მხოლოდ ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებს დაატანეს ძალა და გადიბირეს, ხოლო აჭარაში ოსმალნი ისე არა მძვინვარებდენო.

აჭარა'ში საიმისოდ ვერ მოუკიდნია ფეხი ოსმალურს ენას. ძალიან ნაკლებად იციან აქეთ ეს ენა. მაჰმადიანობა-კი მიუღიათ, მაგრამ ენა ოსმალური ვერ შეუთვისებიათ. არც საკვირველია ესა: საყოველდღეო ლოცვები და მთლათ საღმრთო წერილი აქ არაბულ ენაზედ იკითხება, ჯამეებში მოლებისაგან. არც ხალხს ესმის რამე და არც თვით მოლებსა. თითო-ოროლა ლოცვა იციან ზეპირად, მაგრამ აზრი-კი არ ესმით. ერთის ლოცვის შინაარსი ვიკითხე და ვერავინ ვერ ამიხსნა, რა ეწერა იმ ლოცვაში.

თუ თითო-ოროლამ იცის კარგად ოსმალური, ეს იმითი აიხსნება, რომ აქედამ ჯარი გაიყვანა ოდესმე ოსმალომ და ოსმალეთში დააყენა სხვა-და-სხვა ადგილას. აი ამ უკან დაბრუნებულმა ჯარის-კაცთ შეირჩინეს ცოდნა ოსმალურისა დღემდე. ამისთანაებმა წერა-კითხვაც იციან ოსმალური.

ისე არავის ეჯავრება აქეთ ქართველობა, როგორც მოლებსა და მოლიებსა. ისინი უქადაგებენ ხალხს, რომ გძულდეთ ქართველებიო, იმათ მოიყვანეს აქ რუსნიო. იმათთვის სამოთხეც-კი არ არსებობსო.. ჯეენეთში (სამოთხეა) მარტო ჩვენებური კაცი შევა, იმის კარი ქართველებისთვის დახშულია და არც ალაგია იქ მათთვის მომზადებულიო. ჩვენ რომ ვიხოცებით, ჩვენი ხორცი კვდება მარტო და სული-კი ჯეენეთში მიდის. ქართველი-კი რომ კვდება, სულ იღუპება და ჰქრება სულითხორცითაო. იმათთვის საქაოა დაწესებული, დროს გატარება და კარგი სმა-ჭამა; საიქიო არა აქვთო.

აქაურ დედაკაცობაში ოსმალური ენა სრულიად არ იციან. აში რომ ერთმა იცოდეს, დიდი ამბავია. ჩვეულება და ადათი ამათში სულ ისევ ქართულია დარჩენილი: ნანას ქართულად ეუბნებიან ყმაწვილებს, სხვადა-სხვა ქართული სიმღერები იციან. შელოცვები ქართული ძალიან გავრცელებულია. ძველი დროს ანდერძი მამა-პაპისა ამათ უფრო ახსოვთ, ვიდრე მამა-კაცებს.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 249.

## ტყეების დაცვის გამო ცხინვალის ხეობაზედ

(წერილი რედაქციის მიმართ)

«ივერიის» № 244 იყო დაბეჭდილი ცხინვალიდამ კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, იყო მოხსენებული, რომ ადგილობრივ მემამულეთ თავიანთი ტყე შეჰკრეს და მანათიანი შეშა 3—4 მანათად გაგვიხადესო, რომ მემამულეთა კაცები გლეხ კაცებს შიგ ცხინვალში უხვდებიან და იქ ართმევენ შალბაშს ერთის ძალადობით და ვაი-ვაგლახითაო და იმის გამკითხველი არავინ აღარ არის, საიდამ მოაქვს გლეხკაცს შეშა, მემამულეთა ტყიდგან, თუ თავის საკუთრიდან, ან სხვა მემამულის ტყიდან? ამის გამო შეშა აღარ შემოდის ცხინვალში, ვსხედვართ უშეშოდ და ვიფიჩხებით ამ სუსხიან შემოდგომაზეო... ამისათვის

გვარი პირობანი და ხელ-შეკრულობანი იქმნას დადებული; სახერხო დროც იქნება, რომ, მაგალითად, ბ-ნი ჩიკვაიძე დაჰპირდეს ლოლუას ჯილდოდ დახმარებისათვის ქუთაისის მოურავობას, ხოლო თავად მოითხოვს მისგან სამაგიეროდ ბანკის თავმჯდომარეობას; ერთის სიტყვით, ისეთი დრო იქნება, როცა შეიძლება ერთს დაჰპირდეს რასმე, მეორეს— დაემუქროს და ამ სახით, რაკი ნამდვილ და ჭეშმარიტ თანაგრძნობას და გულ-წრფელ დახმარებას არა ჰხედავს საზოგადოებაში, ასეთის ოინებით მაინც გავიდეს ფონს და ბანკის გამგეობის თავმჯდომარის ადგილზე გამოიჭიმოს.

ნოემბერში ცივა და მაშინ ეთბი ლებაო! აი ამ საბუთით ნებას აძლევს თავის თავს კომიტეტი, რომ წესდებაც ფეხ-ქვეშ გასთელოს, ათასი უსიამოვნობა და დავიდარაბაც დაჰბადოს საზოგადოებაში და ბოლოს თავის თავსაც სილა შემოაწნას.

სილა შემოაწნას აი როგორ: ივლისში კომიტეტი ამბობდა, საჭიროა მალე განახლდეს გამგეობა და კომიტეტი არჩევანების შემწეობით, რომელიც ამ წლის მაისშივე უნდა მომხდარიყოვო. გადადება კრებისა ოქტომბრისათვის ყოვლად შეუძლებელიაო. მაშინ ორის თვით დაგვიანება არ შეიძლებოდა არჩევანებისა, კომიტეტის აზრით. ივლისშივე ამბობდა კომიტეტი, რომ მოხელეთა არჩევანების გადადება შემდეგის წლისათვისაც ყოვლად მოუხერხებულიაო. მაშინ ხომ ასე ამბობდა, ნოემბერშიკი თავის ნათქვამს უარ-ჰყოფს, თავის გარდაწყვეტილებას არღვევს, გაზეთებში დაბეჭდილს და ამბობს, მერმისისთვის გადადება არჩევანებისა შესაძლებელიც არის და მოსახერხებელიცაო.

ჩვენ-კი ვფიქრობთო,—განაგრძობს ავტორი წერილისა,—რომ ის ვაჟბატონები, რომელნიც ასე ეკიდებიან საზოგადო ინტერესებს, მათდა მინდობილსა და მათდა ჩაბარებულს, „ყოვლად მოუხერხებელნი“ უნდა ბრძანდებოდნენ საზოგადო საქმეთა წარმოებისათვის.

რა უნდა ექმნა ამისთანა გარემოებაში კომიტეტის თავმჯდომარეს თ. ალ. წულუკიძეს? მან ყოვლად სამართლიანად განსაჯა, რომ იმ კრების განგრძობის დანიშვნა, რომლმაც ვერ გაათავა თავისი საქმეები მაისში და რომლის თავმჯდომარედაც მე ვიყავ, მევე უნდა დავნიშნოვო და დანიშნა კიდეც 10 დეკემბრისათვის. ეს ამბვი გამოცხადდა გაზეთებშიაც და, რასაკვირველია, ეცნობა ბანკის გამგეობასაც. საქმის ასეთმა დატრიალებამ თავზარი დასცა ბ-ნს ჩიკვაიძეს და მის მომხრეებს. შეიქმნა ერთი ამბავი, გაგულისდნენ ისინი, ვინც თავიანთ ქეიფზე დადიოდნენ, მღვრიე წყალში თევზაობდნენ და მიჩვეულნი არ იყვნენ ასე მოქცევას მოწინააღმდეგეთა-მიერ. გაჩნდა ერთი ორონტრიალი, ეტლების რახა-რუხი, კომიტეტის თავმჯდომარესაც-კი მიუცვივდნენ სახლში და უნდოდათ სკანდალი მოეხდინათ, შეეშინებინათ, მაგ საქციელს ვერაფერი სასიამოვნო შედეგი მოჰყვებაო. თავმჯდომარემ ყოველ ამას ყური არ ათხოვა და სრულიად სამართლიანად ჰფიქრობს, რომ, ქუთაისის ბანკის წესდების ძალით, მხოლოდ არა ჩვეულებრივი კრება უნდა იქმნას მოწოდებული ზედამხედველ კომიტეტს მიერაო, ხოლო ჩვეულებრივის კრების შესახებ წესდებაში არა არის-რა ნათქვამი. არა არის-რა ნათქვამი, იმიტომ რომ იგი კრება აუცილებელია და ყოველ წელიწადს უნდა იქმნას მოწოდებული. წესდებაში სწერია, რომ კრებაზედ თავსმჯდომარეობს ზედამხედველის კომიტეტის თავმჯდომარე. მაშასადამე, კრებასაც იმან უნდა მიუწოდოს; ვისაც უფლება აქვს დაჰშალოს იგი, ესე იგი, თავმჯდომარეობაო.

რა გამოვიდა ბოლოს? ბოლოს ის გამოვიდა, რომ ბ-ნმა ჩიკვაიძემ და კომიტეტის წევრთ მიჰმალეს დავთარი, საცა იწერება გადაწყვეტილებანი კომიტეტისა და ჩასწერეს შიგ 8 ნოემბერს, როცა უკვე მიუვიდათ ამბავი თავსმჯდომარისაგან კრების დანიშვნის თაობაზედ, რომ ვითომ 1 ნოემბერს კომიტეტმა გადასწყვიტა კრება მოწოდებულ იქმნას 20 მარტს 1894 წელსაო.

ჯერ ერთი რომ კომიტეტს ამისი ნება არა ჰქონდა, წესდების ძალით, და მეორეც—ასეთი გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან 1 ნოემბერს იყო მხოლოდ ლაპარაკი კრების დანიშვნის თაობაზე და არაფერი არა გარდაწყვეტილა-რა იმ დღის შესახებ, როცა უნდა დანიშნულიყო კრება.

ერთი ვიკითხოთ, ათავებს ბოლოს თავის წერილს ბ-ნი გ. მ.—რა უნდა დაერქვას ამისთანა საქციელ, როცა მეტადრე ამას ჰკადრულობენ ორი ნაფიცი იურისტი, როცა მათ შორის ერთს უჭირავს ისეთი საპატიო ადგილიც ქალაქის მოურავისა და მესამეა აღმზრდელი ახალის თაობისა, რომელიც მოვალეა, სხვათა შორის, ზნეობრივადაც სწურთნიდეს თავის შეგირდებს?«

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მსურს ჭეშმარიტების აღსადგენად ერთი ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ შესახებ ტყეების შეკვრისა და იმ შალბაშის გამორთმევისა, რომლის უსამართლობას ცხინვალის კორესპონდენტი თქვენს გაზეთში ისე ღაღადებს. არა ერთხელ და ორჯელ თქმულა გაზეთში, რომ საერთოდ რუსეთში და განსაკუთრებით კავკასიაში ტყეები უწყალოდ იჩეხება და იწვის, რომ მომავალში ამით საქართველოს დიდი უბედურება მოელის, და რომ სასიქადულოა ტყის პატრონები გულდადგბით მოეკიდნენ ამ საქმესა და ტყეები აღარ გააოხრებინონ და დააწვევინონ და ამით მოვალენი არ შეიქნენ თავის შვილებისა და შვილიშვილების წინაშე.

მართალია, ამ ბოლოს დროს ზოგიერთ მებატონეებს მოუვიდათ აზრათ შეეკრათ ტყეები, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო ზოგიერთი მონაწილეები არ იყვნენ ამაზედ თანხმანი და ამის გამო საერთო ტყეების დაცვის საქმე რიგიანად ვერ მიდიოდა. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ უკანასკნელ თთვეებში მთელმა მაჩაბლებმა, როგორც ზაალიშვილებმა, ისე ბორტიშვილებმა შეჰკრეს პირობა დაედგინათ საერთო მმართველობა, რომელსაც აზრათა აქვს, ერთის მხრივ, ტყეების გადარჩენა იმ საშინელ აოხრებისაგან, რომელიც მათ ემართებოდათ და მეორეს მხრივ, შემოსავლის აკრეფა საერთო მამულებიდგან და განაწილება მონაწილეთა შორის მათ მონაწილეობის კვალობაზედ. უმთავრესი მეცადინეობა ამ მმართველობისა ის გახლავთ, რომ არავის შეეძლოს ტყეების უთავბოლოდ გაჩეხა, მათი დაწვა და ახოებათ გადაკეთება. გარდა ამისა, არავის ნება არა აქვს შვიდ ვერშოკზედ ქვეით მასალის ხე მოსჭრას, არავის ნება არა აქვს ნაძვის, ფიჭვის და სოჭის ხეებიდგან სარი მოსჭრას, ანუ ფიჩხი, და რის მოჭრაც შეიძლება, ყველა იმაზედ კანტორიდგან უნდა კვიტანცია ჰქონდეთ აღებული. ამასთანავე დაადეს ბაჟები ურემ შეშაზედ ორი აბაზი, ფიჩხზედ ათი შაური და სხვ.

რასაკვირველია, ცხინვალელებს, რომელნიც ისე უწყალოდ აჭრევინებდნენ ოსებს ნაძვის სარსა და აქამდისინ თავისუფლად სარგებლობდნენ ტყეებითა და ხე-ტყის მასალითა, ეს დადგენილება ვერაფრად ეჭაშნიკათ, თუმცა ის ფასები, რომელიც მაჩაბლებმა დააწესეს, ბევრად ნაკლებია, როგორც სახელმწიფო ფასებზედ, ისრე ციციშვილებისაგან თავიანთ ტყეში დაწესებულ ფასებზედ. მაგრამ მაინც ერთხელვე დაჩვეული თავისუფლობას ცხინვალელი წინააღმდეგია ამ დაწესებულებისა და ყოველ ღონის-ძიებითა სცდილობს ხელი შეუშალოს იმათ, ვინც ამ შემოღების მოთავენი არიან. ეს კიდევ არაფერი, ისინი ჩუმად და ღამით, როდესაც ყარაულები თავთავის ადგილას არ არიან, იტყუებენ ოსებსა და ძველებურად ჰყიდულობენ მათგან შეშასა, ფიჩხსა და სხ. მასალასა. ამით, რასაკვირველია, ზნეობრივ ხრწნიან ოსებსაც. ცხინვალს არა აქვს ისეთი მოედანი, სადაც ურმები შეშით, ფიჩხით და სხვა მასალით დატვირთულნი გაჩერონ და, რასაკვირველია, რაკი ცხინვალში ამ გვარი ურემი შეშით და მასალით შემოდის, ყარაულები მაშინვე ბილეთსა სთხოვენ და, თუ ბილეთი არა აქვთ არავისგან, დაწესებულ შალბაშს ართმევენ. მაჩაბლებს გარდა, ბევრმა ტყეების მოსაკუთრემ შეიტანა სამაჩაბლო მამულის მმართველთან თხოვნა, ჩვენი ტყეებიც მიიღეთ თქვენ განკარგულებაშიო და ამითი, რასაკვირველია, უფრო ღრმად გაიდგა ძირი ტყეების დაცვამ, აი ეს არის მიზეზი ცხინვალელების ჩივილისა და, არცა მგონია, რომ ურემზედ ორის აბაზის შალბაშის მომატებამ სიცივით მოჰკლას ცხინვალელები.

თ. ლუარსაბ ირაკლის ძე ციციშვილი
დ. ცხინვალი.
1893 წ. გიორგობისთვის 16-ს.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის გაზეთის საშვალებით მადლობა ვუძღვნათ ქალბატონს ანასტასია მგელაძისას, ხამაშურიძის ასულს, რომელმაც ს. აკეთში დაარსებულ წიგნთსაცავს შემოსწირა ხუთი მანეთი ფული.

წიგნთ-საცავის დამაარსებელნი წევრნი არსენ წითლიძე და ჯამ. ბაქუნაიშვილი
ნოემბრის 15 დღეს 1893 წ.

### II

თქვენის გაზეთის საშუალებით ვსთხოვთ ბ-ნს ა. ენგურელს, გვაცნობოს, სად შეგვიძლია გავუგზავნოთ ქართული წიგნები ხალხში უფასოდ დასარიგებლად და აგრედვე განძრახულ წიგნთ საკითხავისათვის.

მეგრელი
სოფ. ტყიბული.
1893 წ. 14 ნოემბერი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საფრანგეთის გაზეთ «Le progrès agricole et viticole»-ში დაბეჭდილია წერილი «Вѣст. Винод.»-ს რედაქტორის ბ-ნ თაიროვისა. ამ წერილით ბ-ნი თაიროვი სთხოვს უცხოელ მეცნიერთ, თქვენი აზრი შეგვატყობინეთ შესახებ პროფესორ მარიონის აზრისა, რომელმაც გასულ ზაფხულს ტფილისისა და კიშინევის კრებებზედ სთქვა, რომ ვენახების გასაუმჯობესებლად სრულიად არ არის საჭირო ამერიკის ვაზების გაშენებაო. ზემოხსენებულ გაზეთის რედაქტორი პროფესორი დეგრელი სწერს, რომ ამერიკის ვაზების უარყოფა თვით ჭეშმარიტების უარყოფაა და ვერც-კი დავიჯერებთ, რომ პროფესორი მარიონი ამას ამტკიცებდესო.

## რუსეთი

საიმპერატორო პეტერბურგის ბუნების მეტყველების მოყვარულთა საზოგადოებას განზრახვა აქვს შეადგინოს „სამუსიკო“ ფონდი, რომლის შემწეობითაც უნდა შეჰკრიბოს სახალხო სიმღერები და ჰბეჭდოს იგინი და სხვ.

—

გაზეთი „Нов. Вр.“ სწერს:

პეტერბურგში არსებობს საზოგადოება „Надежда“. ამ საზოგადოების სახელი რუსულია, საზოგადოება რუსეთშია, ემორჩილება რუსეთის კანონებს, სცოცხლობს და არსებობს რუსეთის ფულით და საზოგადოების მმართველნი და დირექტორები-კი, როგორც ეტყობა, ყველანი გერმანელნი ყოფილან:

დირექტორები:
- გ. ვეიხარდტი.
- ო. ლამპე.
- ა. პეტერსი.
- გ. შტეინერი.
- ფ. პლესკე.
- ა. ზისერმანი.

უწინდელ მმართველად ნამყოფი — კნორრე. ეხლანდელი მმართველი — კრელი.

ნეტა ამ საზოგადოებას „Надежда“ რად ეწოდება სახელად! უმჯობესი იქმნებოდა „Die Hoffnung“-ი ერქვას, ანუ გერმანული იმედი, ანუ უკედ რომ ვსთქვათ, იმედი გერმანელთა რუსეთის ფულის ჯიბეში ჩაჩხრიალებისა.

—

მოსკოვის უნივერსიტეტიდგან ამას წინად ასი სტუდენტი დაითხოვეს იმის გამო, რომ სწავლის ფასი ვერ შეიტანეს.

ეხლა, როგორც გაზეთები იუწყებიან, ერთს მოსკოველს 600 მანათი წარუდგენია უნივერსიტეტის მთავრობისათვის 12 ღარიბ სტუდენტის მაგივრად.

გაზეთი Рус. Жизнь ამბობს:

ამისთანა უხვის ქველ-მოქმედებისა და ღარიბ მოსწავლეთათვის გულშემატკივრობის მაგალითი ღირსია საზოგადოების ყურადღებისა და მიბაძვისა. სტუდენტების დათხოვნა უნივერსიტეტიდგან ამ ბოლოს დროს როგორღაც გახშირდა; ხოლო ისეთი გულ-შემატკივრობა-კი, როგორიც მოსკოველმა გამოიჩინა ძალიან იშვიათად ისმის. აქ საყურადღებო ის-კი არ არის, რომ დიდი ფული გამოიღო მოსკოველმა, [illegible] მედ თვით ის ფაქტი, რომ ამ შეწირულობას განათლების სახელი აძევს. ამასთან შემწირველი იმედოვნებს, რომ მოსკოვში აღმოჩნდებიან ისეთნი, რომელნიც დანარჩენ 5,000 მანათსაც შეაგროვებენ და შეიტანენ ყველა დათხოვნილ სტუდენტების სახელით.

ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ მოსკოვის ზარი-რეკიებმა „მშვიდობიანობის ზარის“ რეკით ჯერ ისე ვერ დააყრუეს მოსკოველები, რომ იმათ ყურებმა სხვა ხმა ვეღარ გაიგონონ. იმედი გვქონდეს, აღმოჩნდებიან ისეთნი კაცნიც, რომლებიც გაიგებენ, რომ მხოლოდ პარიჟის მღვთისმშობლის ტაძრის ცქერა არ გვიშველის.

## პროფესორის დარიგება

Mitausche Zeitung-ში დაბეჭდილია იურიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანის ვასილიევის სიტყვა, რომელიც მას წარმოუთქვამს სტუდენტთა წინაშე ლექციების დაწყებამდე თერაპიიდგან:

კიდრე შეუდგებოდეთ ჩვენს საექიმო მოქმედებას, მე მინდა მცირეოდენი დარიგება მოგცეთ, რომელიც ეხლა ეგრე რიგად არ გამოგადგებათ, მაგრამ შემდეგ, როცა ფეხს შესდგამთ ცხოვრებაში, თქვენთვის დიდმნიშვნელოვანი იქმნება.

უწინარეს ყოვლისა თქვენ ერთი გარემოება უნდა გაუწყოთ, რომ მერე მოულოდნელად თავს არ დაგატყდებათ და არ გაგნოთ, როდესაც თქვენ რომელსამე ქალაქსა ან სოფელში დასახლდებით, როგორც მკურნალი, უხუცესნი მკურნალნი ეცდებიან სახელი გაგიტეხონ, რომ ხალხის ნდობა არ მოიპოვოთ. ხოლო ეს ნუ დაგაღონებთ, რადგანაც ხალხი მიხვდება თუ არა ძველის მკურნალების ოსტატობას, თქვენკენ მოიბრუნებს პირსა და თქვენ მოგმართავს სამკურნალოდ ისე, რომ წინანდელ მკურნალებს საქმე სრულიად ჩამოეცლებათ ხელიდგან. ისეც-კი მოხდება ხოლმე, რომ მოხუცნი მკურნალნი უტეხავენ სახელს სტუდენტებსაც, რომელნიც ექიმობენ კანიკულების დროს და ავადმყოფს ახალ წამლებს აძლევენ, რომელნიც ძველმა ექიმებმა არ იციან. თქვენ, რასაკვირველია, უნდა ცდილობდეთ დაიმსახუროთ ავამყოფების პატივისცემა. ეს მხოლოდ მაშინ შეგიძლიანთ, თუ წამლობაში ბლომად გადაასხდევინებთ. ყოველ ავადმყოფს ათ-ათი მანათი მოსთხოვეთ და არა ერთი და ორი მანეთი, თორემ სიხარბეს დაგწამებენ. თუ ფულის ანგარიშში ესე მოეპყრობით ავადმყოფებს, პატივისცემა არ მოგაკლდებათ და კარგის მკურნალის სახელსაც გაითქვამთ. თუ რომ ავადმყოფს არ შეუძლიან ათის მანათის მოცემა, სულაც ნურას გამოართმევთ და მადლობელი დაგრჩებათ.

მაგას გარდა, მკურნალად რომ იქმნებით, თქვენის ყოფა-ქცევით თავი არ უნდა დაიმდაბლოთ. მთვრალი არ გამოხვიდეთ კარში, დუქნებში არ იწანწალოთ. დღეში 12 ავადმყოფზედ მეტი არ ინახულოთ, რადგანაც ამაზედ მეტს რიგიანად ვერ გასინჯავთ. არიან ისეთი მკურნალები, რომლებიც დღეში 40 ავადმყოფს ინახულებენ, იღებენ 100 მანათს და კმაყოფილნი არიან. თქვენ-კი თუ ჩემს [illegible] სინჯავში.

მალე ბრძანება გამოიცემა, რომლის ძალითაც სამკურნალო ფაკულტეტის უფროსის კურსების სტუდენტები გაიგზავნებიან რუსეთის შიდა გუბერნიებში კანიკულების დროს, რომ ხალხს უწამლონ. თქვენ შეგიძლიანთ რუსული ლაპარაკი ისწავლოთ, ცოდნა გამოიჩინოთ და კარგი ფულიც იშოვოთ.

ამ სტუდენტების არჩევა ჩემზეა დამოკიდებული. მე მხოლოდ იმათ დავასახელებ, რომლებმაც რუსული ლაპარაკი იციან და დირექტორის მადლობელნი და მორჩილნი არიან.

ზოგიერთ ჩვენს ექიმს რაღა ამნაირი დარიგება უნდა!

## უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისში ბევრსა ცდილობენ დააარსონ მუშათა საპოლიტიკო დასი. არც ერთს სხვა სახელმწიფოში მუშათა საზოგადოებათ არა აქვთ ისე მკვიდრი ორგანიზაცია და ისეთი ძალ-ღონე, როგორც ინგლისის მუშათა საზოგადოებათ.

1891 წელს, ოფიციალურ ცნობებით, ინგლისში მუშათა საზოგადოება იყო 236 და ამ საზოგადოებათა წევრთა რიცხვი 843,872. ერთის წლის შემდეგ, ე. ი. 1892 წ. იყო 431 საზოგადოება და 1,109,014 წევრი. 1891 წელს საზოგადოებათა კასსებს ჰქონდათ 1,250,000 გირვანქა სტერლინგი; ხოლო 1892 წელსკი 1,750,000 გირ. სტერ. ამ ფულიდგან 1891 წელს 135 საზოგადოების კასსებს დაუხარჯავთ 200,000 გირ. უსაქმოდ დარჩენილ მუშათა დასახმარებლად. იმავე წელს 123 საზოგადოებას თითქმის იმდენივე ფული დაუხარჯავს მუშათა გაფიცვისა და მუშაობის აკვეთის დროს. 98 საზოგადოებას იმდენივე ფული დაუხარჯავს ავადმყოფ მუშათა დასახმარებლად და 20,000 გირ. სტერლ. კიდევ უბედურ შემთხვევით დაზარალებულ მუშათათვის.

—

ინგლისის პარლამენტი ირლანდიის ბილლს ამ დღეებში განიხილავს მესამედ და მიღებულ იქმნება. ლორდთა პალატა, ამბობენ, წინააღმდეგობას აღარ გაუწევს და მალე პროექტი კანონად გარდაიქცევაო.

—

მთავრობამ გამოაცხადა პარლამენტში, რომ 1894 წელს ათი ახალი სამხედრო გემი აიგებაო.

—

სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებას 20 ნოემბერს წლიური კრება ჰქონდა. თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ 1884 წელს 53 კურსი იქმნა წაკითხული 3,660 მსმენელთათვის; 1891—1893 წელს-კი 139 კურსს 13,374 მსმენელი დაესწროვო. სამუდამო კურსების დაარსება თანდათან ვრცელდებაო.

—

**ესპანია და მაროკკო.** ესპანიის მთავრობა, Daily Vews-ის სიტყვით, დიდად გაჭირვებულია. მადრიდის თითქმის ყველა გაზეთები სახალხო დასს მიემხრო და თხოულობს კაბილების განადგურებას, ვიდრე სულთანის ჯარი მოვიდოდეს [illegible] რაკი იმის შესახებ, რომ სულთანთან მორიგებით გავათავოთ უთანხმოებაო. ხალხი თხოულობს კაბილების დამარცხებას და ამით ქვეყნის აკლებას. მთავრობამ არ იცის, როგორ მოიქცეს. იცის მხოლოდ, რომ არც სულთანი და არც ევროპის სახელმწიფოები არ დასთანხმდებიან ფულითა ანუ ადგილ-მამულით დაიბრუნონ ის ხარჯი, რომელიც მაროკკოს დამორჩილებაზედ მოუვა.

კაბილები 17 ნოემბერს დაეცნენ ესპანიის მცირე ჯარს, რომელიც ციხე-სიმაგრიდან გამოვადა ადგილის დასათვალიერებლად. მცირედის ომის შემდეგ კაბილები დამარცხდნენ და უკუ იქცნენ. ესპანელების მხრივ ერთი ჯარის კაცი დაიჭრა.

—

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პალატის უმრავლესობა მედგრად შეუდგა ბრძოლას სოციალიზმის წინააღმდეგ. ზომიერ რესპუბლიკელთა და კონსერვატორთა გაზეთები ამბობენ, სოციალიზმს მით უფრო მედგრად უნდა ვებრძოლოთ, რომ ზოგიერთი სოციალისტები წინააღმდეგნი არ არიან ანარქისტთა მოქმედებისა. ზემოხსენებულ გაზეთებს ძლიერა სწყინთ, რომ სოციალისტთა მეთაურნი ან სრულიად ჩუმად არიან ანარქისტთა მოქმედების შესახებ, ან თუ ჰკიცხავენ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მოქმედება სავნოა სოციალიზმისთვისაო. ამას წინად პარიზის დეპუტატმა ბოდიერმა სთქვა ანარქისტების შესახებ:

მე არა ვკიცხავ ამ ხალხსა, რომლისთვისაც ყველა საშუალება საკადრისია გულის წადილის მისაღწევად, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ კარგად არ იქცევიან

და ხშირად განურჩევლად სდევნიან ისეთ კაცებს, რომელთაც არა ვითარი დანაშაული არ მიუძღვით აწინდელ წესწყობილებაში. ამასთანავე ანარქისტების წვრილმანი (!) ბოროტ განზრახვა ხელს უშლის რევოლიუციის საქმეს.

ჟულ გედი ამბობს:

ჩვენ უარს ვყოფთ დინამიტის ხმარებას, პოლიციის წინააღმდეგობას და ამბოხებას: მაგრამ უარს ვყოფთ ყველა ამას იმიტომ-კი არა, რომ სინიდისი ნებას არ გვაძლევდეს ამ საშუალებათა ხმარებას, ან ძლიერ დიდი თაყვანის მცემელნი ვიყვნეთ კანონისა, არამედ იმიტომ, რომ ეს საშუალებანი ჩვენთვის გამოსადეგი და ხელსაყრელი არ არის.

მეორე დეპუტატი პარიზისა ამბობს:

ვისაც იმედი აქვს დეპუტატ სოციალისტებისა, რევოლიუციის საქმეში დაგვეხმარებიანო, ძლიერ სცდება. ჩვენ ფიქრადაც არ მოგვდის ვთხოვოთ პალატას ჩვენის პროგრამმის განხორციელება. პარლამენტი ჩვენთვის მხოლოდ ტრიბუნაა ჩვენის აზრების გავრცელებისთვის და დარწმუნებულნი ვართ, რომ რევოლიუცია პარლამენტში არ დაიბადება.

## გასართობი

—

ერთს მღვდლის შვილს სალმრთო წერილის მასწავლებელმა ჰკითხა:

— რაი არს სახმილი იგი საშინელი?

— სასულიერო კონსისტორია.

— რაო?—ჰკითხა გაოცებულმა მასწავლებელმა.

— ეგრე. როცა მამა ჩემი კონსისტორიაში მიდის, თან ბევრი ფული მიაქვს ხოლმე და მუდამ ამბობს: „ოჰ, ეგ სახმილი იგი საშინელიო“.

—

საფრანგეთის ისტორიკოსი პელისონი ლიუდოვიკო XIV-ს ისტორიასა სწერდა. ერთხელ ლიუდოვიკომ ჰკითხა:

— როგორ უნდა ასწერო ეხლა ჩემი და ქ-ნ მონტესპენის კავშირი.

— მეფეო, უპასუხა ისტორიკოსმა, საქიროა, თქვენს ისტორიას არავინ დაიჯეროებსო.

—

ოსმალეთის ერთს მდიდარ ვაჭარს ლამაზი ტყვე ქალი ჰყვანდა, მშვენიერი ცედილა. ვაჭარი დიდის ხნით სხვაგან მიდიოდა სავაჭროდ. მისცა ერთს საჭურისს ლურჯი მელანი და უთხრა: თუ ვინიცობაა ცედილამ მიღალატა, რამდენჯერაც მიღალატოს, იმდენჯერ მელანი დააწვეთე შენს თეთრს ტანისამოსსაო.

ორის კვირის შემდეგ საჭურისმა ვაჭარს შემდეგი წერილი მისწერა: ეფენდი, გთხოვთ, მალე დაბრუნდეთ, თორემ, თუ ვინიცობაა ერთი კვირა კიდევ დაიგვიანე, ჩემი ტანისამოსი სულ ლურჯად შეიღებებაო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

პადუაში გარდიცვალა ჰერცოგის გალიერის შვილი ფერრარი. განსვენებულს ფერრარის დედ-მამისაგან დიდძალი ქონება დარჩა, მაშინვე ქალაქ გენუას შესწირა 200 მილიონი ლირი, უარ-ჰყო ჰერცოგის ხარისხი და მეცნიერებას მიჰყო ხელი. ფერრარი დიდ ხანს იყო პროფესორად პარიჟის საპოლიტიკო მეცნიერებათა სასწავლებელში.

## გამოსადეგი ცნობა

—

ვარდის ნელ საცხებელი. აიღეთ პატარა მუშის ქილა. ჩაჰყარეთ ცოტა კარგად დაფქული მარილი (ქვა მარილი-არა), მოაფინეთ კარგი ვარდის ფურცელი (ნახევარ თითის დადებაზედ), შემდეგ ისევ მარილი მოაყარეთ და ფურცელი მოაფინეთ ვიდრე ქილა არ აივსოს. დაჰხურეთ მაგრა, რომ ჰაერი არ ჩადიოდეს და მშრალ ადგილს შეინახეთ.

ეს ნელ-საცხებელი მშვენიერის სუნისა არის.

როცა გნებავდეთ, აჰხადეთ თავი ქილას ცოტას ხნით და გარშემო ვარდის სასიამოვნო სუნი დადგება.

# დეპეშა

18 ნოემბერი

**პარიჟი.** შეკრებილ ცნობების გამო ჰფიქრობენ, რომ კაპრივის „ჯოჯოხეთის მანქანა“ გერმანელებმა გაუგზავნესო.

**ბერლინი.** თუ ზოგიერთ მცირეოდენ საკამათო საგნების გამო მოთანხმება მოხდა, რეიხსტაგი შეიწყნარებს რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობას, რადგანაც ცენტრში, რომელსაც უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ამ საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტისთვის, საკმაოდ ბევრი მომხრეა ამ ხელშეკრულობისა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,65 | 7,65 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | $152^3/_4$ | $153^1/_2$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $245^5/_8$ |
| —მეორისა . . . . | | — ,, | $222^1/_2$ |
| 4°/₀ მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | $190^3/_4$ |
| ვირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 5°/₀. . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 100 | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . . | — ,, | 99 | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $97^1/_2$ | — ,, | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ.

ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ და ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ: საფოსტო და სახალხო.

ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

—


# განცხადებანი

იძლევა ქირით ღვინის
ს ა რ დ ა ფ ი
(პადვალი)
და
ნ ა ვ თ ი ს ს აწ ყ ო ბ ი
მეორე თუმანიანთ ქუჩა № 1.
(2—2)

„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზიაში
სყიდება ამხანაგობის შემდეგი გამოცემანი:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერი ქაღალდზე და მშვენიერისავე ყდით, თითო ტომი ცალკე. . . . . . . | 2 | 50 |
| ოთხი ტომი ერთად . . . | 9 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულისა და ევროპიული საჭმელებისა . . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | 1 | 25 |
| ლამპალეა და ალზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა პოემა ბაჩანასი | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები I ნაწილი . . . . . . | „ | 30 |
| იგივე ყდით . . . . . | „ | 75 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . | „ | 40 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 90 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი, ტომი I . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე კარგს ქაღალდზედ, მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| ტომი II . . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| ტომი III . . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზედ მშვენიერის ყდით . . | 2 | „ |
| ტომი IV, იზა, ორი წიგნი . . . . . | 1 | 60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით . . | 3 | „ |
| ჩანგი . . . . . | 1 | „ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა . . . . | „ | 20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი 1 ფასი . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| თხზულებანი მისივე ტომი II ფასი . . . . | 1 | „ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერის ყდით . . | 2 | 50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის . | „ | 25 |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე . | „ | 75 |
| იგივე კარგს ქაღალდზე . | 1 | 50 |

(5—0—2)

# გამოსადეგი ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

**ყ. მ. ჩიქოანი**, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, $10^1/_2$—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

**ი. ფ პროტასევიჩი**, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

**ი. გ. ჩეპურკოვსკი**, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

**ა. გურკო**, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—$7^1/_2$ საათამდის.

**ე. ი. ფრანციუსი**, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი **ათი** შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

---

**1894 წლის იანვრიდგან**

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

## „მ ო ა მ ბ ე“

შემდეგის პროგრამმით:

I **სიტყვა-კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.**

II **ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ-მსაჯულება, შესანიშნავი სამჯავრო პროცესები**

III **სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.**

IV **კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულის და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.**

V **ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.**

VI **ნარევი.**

VII **განცხადებანი.**

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი), ნ. ორბელიანისა, პროფესორი ვ. პეტრიაშვილი, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ი. ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოღობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი. გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

**ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით:** Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ველარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

**პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.**

**რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრამებისათვის:** Тифлисъ, Редакція «Моамбе».

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ღოღობერიძე


Доз. ценз. Тифлисъ, 18-го Ноября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე